საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 361

16 05 2016 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დარგისა და პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განათლების ფასილიტატორის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერის კახაბერ ერაძის 2016 წლის 15 აპრილის №386064 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]“ და „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის 17 მაისიდან გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) დარგის 25 ფასილიტატორისა და პროგრამის განათლების 25 ფასილიტატორის შერჩევის მიზნით და განაცხადების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 26 მაისი.
2. კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნენ პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორები პროფესიების ანალიზისა და პროფესიული სტანდარტების შესამუშავებლად შემდეგი მიმართულებებით:

ა) აგროინჟინერია და აგრონომია (მელიორატორ-ტექნიკოსი);

ბ) გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება (ნარჩენების მართვის/გადამუშავების სპეციალისტი);

გ) ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია (ელექტრომექანიკოსი, ენერგეტიკოსი-მემონტაჟე);

დ) მარკეტინგი (სავაჭრო ბროკერი, გაყიდვების აგენტი);

ე) მენეჯმენტი/აგრონომია (აგროლოჯისტიკის ოპერატორი);

ვ) მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია (რობოტოტენიკის და ელექტრონიკის სპეციალისტი, მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი);

ზ) სასურსათო ტექნოლოგია (ხორცპროდუქტების გადამმუშავებელი/მწარმოებელი, მარცვლეული კულტურების გადამმუშავებელი/მწარმოებელი (პურპროდუქტების გადამმუშავებელი/მწარმოებელი);

თ) ტელეკომუნიკაცია (სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის სპეციალისტი);

ი) ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები (საზომი საშუალებების მეტროლოგიური უზრუნველყოფის სპეციალისტი);

კ) ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნიკოსი);

ლ) ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია (ქიმიური პროცესების ტექნიკოსი/ქიმიური წარმოების სპეციალისტი/ქიმიური წარმოების მეაპარატე);

მ) სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია (საწარმოო პროცესების სტანდარტიზაციის სპეციალისტი);

ნ) საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია (აეროდრომების ექსპლუატაციის ტექნიკოსი, ფრენების უზრუნველყოფის შუქტექნიკური და ელექტროტექნიკური სისტემების ექსპლუატაციის ტექნიკოსი);

ო) თეატრალური ხელოვნება/ინჟინერია (სცენის მემანქანე/მექანიკოსი);

პ) ტრანსპორტი (საბაგირო გზების სპეციალისტი, ამწის ოპერატორი/მემანქანე, სატრანსპორტო საშუალებების მეთუნუქე);

ჟ) სპორტი (მწვრთნელი (სხვადასხვა სახეობის));

რ) სისხლის სამართალი (გამომძიებელ-დეტექტივი (კრიმინალისტი));

ს) ქორეოგრაფიული ხელოვნება (მოცეკვავე).

3. პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორს ევალებათ პროგრამის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგიით პროფესიული სტანდარტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

4. პროგრამის დარგის ფასილიტატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

4.1. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მიმართულებით უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან შესაბამისი სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

4.2. ქართული ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები;

4.3. სასურველია Microsoft Office Word და/ან Microsoft Office PowerPoint პროგრამებისა და ინტერნეტის კარგად ცოდნა;

5. პროგრამის დარგის ფასილიტატორობის კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე, www.hr.gov.ge, უნდა ატვირთოს:

5.1. განათლების (უმაღლესი ან პროფესიული) ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი: ცნობა სამუშაო ადგილიდან ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან შრომის წიგნაკის ასლი, ხოლო, თვითდასაქმების შემთხვევაში სარეკომენდაციო წერილი, ხელმოწერილი რეკომენდატორის მიერ, რაც ადასტურებს კონკურსანტის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან.

5.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

6. პროგრამის განათლების ფასილიტატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

6.1. უმაღლესი განათლება;

6.2. ქართული ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარები;

6.3. Microsoft Office Word და/ან Microsoft Office PowerPoint პროგრამებისა და ინტერნეტის კარგად ცოდნა;

6.4 განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

6.5. სასურველია მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში;

6.6. სასურველია ჰქონდეს ჯგუფის მუშაობის კოორდინაციისა და ტრენინგების/სემინარების ჩატარების გამოცდილება;

6.7. სასურველია ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში.

6.8. სასურველია ინგლისური ან გერმანული ენების დამაკმაყოფილებელი ცოდნა;

7. პროგრამის განათლების ფასილიტატორობის კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე, www.hr.gov.ge, უნდა ატვირთოს:

7.1. განათლების და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი: ცნობა სამუშაო ადგილიდან ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან შრომის წიგნაკის ასლი;

7.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

8. პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორების შესარჩევი კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება;

გ) გასაუბრებაზე შერჩეულ კანდიდატებთან ჩატარებული ტრენინგის შეფასების შედეგები.

9. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს www.hr.gov.ge-ის ვებგვერდის მეშვეობთ კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

10. დაევალოს საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი

გიორგი შარვაშიძე